ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7237366

ნომერი: AR11059965

თარიღი : 01.10.2024

გაცემის თარიღი : 02.10.2024

გაცნობის თარიღი : 26.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნავთლუღი , N 8 , (ნაკვ. 23/011) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნავთლუღი , N 8 , (ნაკვ. 23/010) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნავთლუღი , N 8 , (ნაკვ. 23/012);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 1

ოქტომბრის №AR11059965 განცხადებით მომართა ირაკლი შარაშიძე და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანებით, №01.17.12.027.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ("ც" და "დ" ბლოკი) არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ბრძანებაში, თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის დაზუსტებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირება შესაძლებელია. ამასთან, აღნიშნული ცვლილება არ გულისხმობს საპროექტო მიწის ნაკვეთის დაყოფის შესაძლებლობას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №892024011354, მომზადების თარიღი: 15/07/2024 წ.) თანახმად, №01.17.12.027.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „თეთრი კვადრატი ისანი პარკი“ (ს/ნ: 404592017), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24047823, მომზადების თარიღი: 24/04/2024 წ.) თანახმად, შპს „თეთრი კვადრატი ისანი პარკის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს ერთობლივად წარმოადგენენ ივერი ჭალიძე (პ/ნ: 01023011793) და გიორგი ნატროშვილი (პ/ნ: 01030050020). ხოლო, მათ მიერ 2024 წლის 2 აგვისტოს გაცემული №04/1 მინდობილობით (წარმოდგენილი №AR11050916 09/08/2024 წ. განცხადებაზე) დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:

„ც“ ბლოკი:
- საერთო ფართობი (კვ.მ): 34716.0
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 17378.0
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 4594.7
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 4456.5
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 387.1
- საოფისე ფართობი (კვ.მ): 1215.8
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 584.4
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 6099.5
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 895.1
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 28105.1
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ): 38593.9
- სადგომების რაოდენობა: 155

„დ“ ბლოკი:
- საერთო ფართობი (კვ.მ): 48615.7
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 26544.4
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 6893.0
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 5169.9
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 919.7
- საოფისე ფართობი (კვ.მ): 1760.5

- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 7328.2
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 1289.4
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 39605.6
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ): 55597.8
- სადგომების რაოდენობა:180

„ც“ და „დ“ ბლოკები ჯამურად:
- საერთო ფართობი (კვ.მ): 83331.7
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 43922.4
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 11487.7
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 9626.4
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 1306.8
- საოფისე ფართობი (კვ.მ): 2976.3
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 584.4
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 13427.7
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 2184.5
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 67710.7
- სადგომების რაოდენობა: 355

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7151523 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.